Press Release – Volume 2/Final Version
TITLE: 2 მლნ დოლარამდე საერთაშორისო ინვესტიცია არდიში და ახალი, დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ვოლფგანგ ვანდის წარდგენა
თარიღი: 09/08/2022
ვენიუ: Radisson Hotel
დრო: 11:00 (პრესა/მედია 15 წუთით ადრე)

დღეს სასტუმრო „რადისონში“ **სადაზღვევო კომპანია არდიმ** მულტინაციონალურ საინვესტიციო ფონდ „Gazelle Finance”-თან საინვესტიციო ხელშეკრულება გააფორმა, რომლის შედეგად “Gazelle Finance” არდის სტრატეგიული აქციონერი გახდა. საინვესტიციო პაკეტის მოცულობა 2 მილიონ აშშ დოლარამდეა, რაც თავის მხრივ, კომპანიის კიდევ უფრო მეტ განვითარებას, გაუმჯობესებულ მომსახურებას და მოწინავე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას გულისხმობს. „Gazelle Finance”-ის ინვესტორები თავის მხრივ მოიცავს ისეთ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, როგორიცაა - DFC (ყოფილი OPIC) და FMO.

ხელმოწერის ცერემონიალის პარალელურად, არდიმ პრესას და საზოგადოებას სამეთვალყურეო საბჭოს ახალი, დამოუკიდებელი წევრი - ბატონი **ვოლფგანგ ვანდი** წარუდგინა. მას აქვს 40-წლიანი გამოცდილება სადაზღვევო, საგადამზღვევო, ჯანდაცვისა და პორტფელის საინვესტიციო მართვის სფეროში. ვოლფგანგ ვანდი 2008-2012 წლებში მსოფლიოს უდიდეს სადაზღვევო კომპანია **Allianz SE**-ს აღმასრულებელი ბორდის თავმჯდომარის პოზიციაზე ხელმძღვანელობდა და ახორციელებდა კომპანიის რეგიონულ მართვას ევრაზიის ქვეყნებში. მანამდე, 6 წლის მანძილზე აღმასრულებელი დირექტორის რანგში ხელმძღვანელობდა **ESG - European Specialty Reinsurance Group** - Standard & Poors-ის მიხედვით A- რეიტინგის მქონე ყველაზე მსხვილ სადაზღვევო პულს ჯანდაცვის, უბედური შემთხვევისა და სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით, მსოფლიოს უდიდესი გადამზღვევი კომპანიის SwissRe-ს მხარდაჭერით მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნის ოფისებში: ბერმუდა, დუბლინი, ლონდონი ჰამბურგი, მოსკოვი, ტორონტო, მაიამი, ჰონგკონგი და კუალა ლუმპური.

„როგორც აღნიშნული ამერიკული საინვესტიციო კაპიტალის შემოდინება კომპანიაში, ასევე ახალი, უდიდესი გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შემომატება ჩვენს გუნდში, ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი არდისთვის, რის შედეგადაც კომპანია განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე გადადის, რაც მალე აისახება ჩვენი დაზღვეულებისთვის კიდევ უფრო მეტად დახვეწილი მომსახურების შექმნაში. მნიშვნელოვნად შეიცვლება ის ციფრული ეკოსიტემა, რომელსაც დღე არდი იყენებს, როგორც შიდა პროცესების მართვისთვის, ისე ჩვენი დაზღვეულების სამომხმარებლო პლატოფორმებისთვის. ძალიან ვაფასებთ Gazelle Finance-ის უწყვეტ და მზარდ მხარდაჭერას არდის მიმართ, როგორც მრავალი ქვეყნის მასშტაბით აღიარებულ საერთაშორისო ფინანსურ პარტნიორს, რომელიც საუკეთესოდ იცნობს საქართველოს ფინანსური ბაზრის კონიუნქტურებს,“ - **განაცხადა მიხეილ ჯაფარიძემ, არდის გენერალურმა დირექტორმა.**

„Gazelle Finance მოხარულია გააგრძელოს პარტნიორობა არდისთან, ამჯერად უკვე როგორც სტრატეგიულმა ინვესტორმა“ - აღნიშნა **ჯეფრი ლიბერტმა, Gazelle Finance-ის აღმასრულებელმა დირექტორმა.** „ჩვენი საინვესტიციო მხარდაჭერით, არდი გადადგამს მნიშვნელოვან ნაბიჯს კორპორაციული მართვის სტრუქტურის კიდევ უფრო ასამაღლებლად, საერთაშორისო სტანდარტებისა და გლობალური სადაზღვევო ინდუსტრიის შესაბამისად. ამ პროცესის

თანმდევია, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში უმაღლესი სადაზღვევო გამოცდილების მქონე აღმასრულებელი წევრის დამატება ბატონი ვოლფგანგ ვანდის სახით“.

„ჩემთვის დიდი პატივია, გავუწიო მეგზურობა არდის, როგორც საუკეთესო მზღვეველ კომპანიას ქართულ სადაზღვევო ბაზარზე, მის მოტივირებულ მმართველ გუნდთან ერთად. კომპანია უკვე წინ უსწრებს კონკურენტებს ტექნოლოგიებზე ორიენტირებული აპლიკაციებისა და მომსახურების სტანდარტების მიხედვით. ჩემს კოლეგა დირექტორებთან ერთად ჩვენ ვუზრუნველვყოფთ ბიზნესის წარმართვას დასავლური კორპორაციული მართვის სტანდარტების შესაბამისად და მოხარული ვარ, რომ მექნება შესაძლებლობა, ჩემი მრავალწლიანი ექსპერტიზა და გამოცდილება გამოვიყენო არდის განვითარების ამ ახალ გზაზე“ - **განაცხადა ვოლფგანგ ვანდიმ, არდის სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა მოადგილემ.**

Press Release – Volume 2/Final Version
TITLE: ARDI announces up to USD 2 mln capital injection by international investors and new independent supervising board member, Wolfgang Wand join the company
Date: 09/08/2022
Venue: Radisson Hotel
Time: 11:00 (15 min. Early check for Press/Media)

Today, JSC Insurance Company ARDI executed the investment agreement with the multinational investment fund **"Gazelle Finance LLC"** at the Radisson Hotel and as a result "Gazelle Finance" became the strategic shareholders of ARDI. The volume of the investment package up to 2 mln million USD, which fosters further growth and development of the company, enhanced services and implementation of advanced digital technologies. Investors of „Gazelle Finance" are such highly reputable financial institutions such as - DFC (formerOPIC), FMO.

During the same signing ceremony, ARDI presented to the press and to the public the appointment of new independent member of the Supervisory Board - **Mr. Wolfgang Wand**. He has 40 years of experience in insurance, reinsurance, healthcare and portfolio investment management. From 2008 to 2012 years, Mr. Wand served **Allianz SE** as deputy chairman of Allianz Eurasia. Prior to this he headed **ESG – European Specialty Reinsurance Group**, S&P „A-„ rated global personal lines Reinsurer, one of the largest health, personal accident and life pools supported by **SwissRe** with offices in Bermuda, Dublin, London, Hamburg, Moscow, Toronto, Miami, Hong Kong and Kuala Lumpur.

"The investment of US capital into the company and the addition of a highly experienced independent supervisory board member to our team are important milestones for ARDI, as a result of which stage we are entering a new stage of development, which will soon be reflected in an even more sophisticated service determination and best-in-class customer's experience for our policyholders. The digital ecosystem used to manage internal processes and consumer platforms as well will be significantly enhanced. We highly appreciate the continued and extended support of Gazelle Finance as an internationally recognized financial partner dedicated to the region with in-depth know-how of the Georgian financial market." - said **Michael Japaridze, CEO of ARDI.**

"Gazelle Finance is pleased to continue its partnership with ARDI as a strategic investor in the company," said **Jeffrey Liebert, CEO of Gazelle Finance**. "With the support of Gazelle Finance, ARDI has taken a critical step to bring its corporate governance structure up to international standards for the global insurance industry, including adding an experienced insurance executive to its Supervisory Board, Mr. Wolfgang Wand."

"I am excited to accompany ARDI and its highly motivated management team on the journey to best-in-class Insurer in the Georgian market. The company already now is ahead of peers as to technology driven applications and customer-centric service standards Together with my fellow directors we will ensure the conduct of business as per western corporate governance standards and I am delighted to avail my long-standing technical expertise to the management." – stated **Wolfgang Wand**, Executive Deputy Chairman of ARDI.